მთელი მოგზაურობის განმავლობაში ამისთანა მდიდრული სუფრა იშლებოდა ხოლმე, რადგანაც უოგელია საჭირო

აკეთებულობა ცხენებით თან მიჰქონდათ. ამასთანავე გზაზე უკან გელს ოთხი მილის შემდეგ სასტუმრო იყო გამართული; აქ იცვლებოდეს ცხენები; დასრულდათ ული ხეები იზიდავენ მოგზაუროს თვალს პაპანაჭება სიცხეში; მოქმედი კი ამისთანა სასტუმროები იმისთვის იყვნენ, რომ თოვლის ბუქისა და საცივისა-გან შეწუსებულო თავი შეეფარებინათ.

სპარსეთის სასტუმროები, რომელიც ჩვენებურს ფოსტის სტანციებს ჰქონდენ, შემოიღო დიდია კირმა, რომელიც ცდილობდა კარგის გზების გაკეთებით შეემოქლებინა თავის დიდს სამეფოში მისასკვლეულ-მოსასკვლეული მანძილი. კირმავე გამართა ასეთი ფოსტები, რომელიც ესლანდელს ფოსტებს ბევრითა ჰქონდენ.

როდესაც მოქეთები, რომელთა შორის ბოგესიც იყო, სუფრიდამ ადგნენ, სტანციის სასლის კარები გააღად გააღორენდა შეგნიდამ რაღაც ხმაურობა მოისმა. სპარსელთა წინაშე იდგა სიტეტისი, რომელსაც მიდიური ძეირფასი ტანისამოსი ეცვა და გრძნობდა თავის ძლევა-მოსილს სილამაზეს, თანაც უურებამდის წილდებოდა, როდესაც თავის მოგზაურთა გა-გვირვებას ხედავდენ.

აზიურის ჩვეულებისამებრ მისი მოსამსახურენი თავის უნებურად დაეცნენ მის ფერხთა წინაშე; კეთილშობილი ახები-ნიდები კი პატივის-ცემით ისრიდენ მის წინ თავს. ამ დროს კინც მას ნახავდა, ეგონებოდა, რომ მან თავის სამშობლოს ტანისამოსთან ერთად უარ-ჟო მორცხობა, და ძვირფასი თვლებით მოქარებული სპარსელი ტანისამოსის ჩაცმით შეი-თვისა ამპარტაცნება და მეფეური დიდებულება.

მას ახარებდა უკელასაგან პატივის-ცემა; მან მოწყალების ნიშნად სელი გაიჭირა და მაღლობა გადაუხადა პატივის-ცე-

მეღთ; შემდეგ მაუბრუნდა საცურისების უფროსს და უთხრა ალექსანად, მაგრამ მედიდურად კი:

— შენ შენი მოვალეობა შეასრულე. მე კმაყოფილი ვარ შენგან მორთმეული ტანისამოსით და მოახლებით. მე კუშტი ჩემს ქმარს შენს საჭმის ცოდნის და თავაზიანობას, სინამ კა მიაღე ეს ოქროს ძეწვები ჰატივის ცემის ნიშნად.

უოვლად შემძლებელმა მეფის ცოლების მეოვალუურებ ნი-
ტეტისის ტანისამოსს უოცა და მიაღო საჩუქარი. მის ქვეშა-
ვოდომთაგან არც ერთი ქალოაგანდ არას დროს არ მოჰქცეო-
და მას ასეთის სიამშარტაგნით. დღევანდლამდის კამბიზის ეპე-
ლა ცოლები აზიელები იუნენ და, რაკი კარგად იცნობდენ სა-
ჭურისების უოვლად შემძლებელს უფროს, უოველს დონისძიებას
ხმარობდენ, რომ ჰირფერობით და წენარის ქცევით დაემსახუ-
რებინათ მისი მოწყებება.

ბოგესმა კაალად თავ მდაბლად დაუკრა თავი ნიტეტისსა;
მან აღარავთარი უურადღება არ მიაქცია მას. კრეზს მიუბრუნ-
და და ჩემად უთხრა:

— შენ კი, ჩემი მეგობარო, კურ გადაგიხდი ჰატივის ცე-
მას კერც სიტყვით და კერც სასუქრებით უოველივე იმისათვის,
რაც შენ ჩენთვის მოიქმედე, რადგანაც მხოლოდ შენ იქნები
მიზეზი, უგეოუ ჩემი ცხოვრება ამ სასახლეში, თუ რომ
სრულიად ბეჭნიერად არა, მშვიდობიანად მაინც წავა. შემდეგ
ნიტეტისმა ხმა-მაღლა სთქვა, ასე რომ უკალას ესმოდა:—
მიაღე ჩემგან ეს ბეჭედი, რომელიც ხელიდამ არ მომიშორე-
ბდა, რაც ეტვიპტიდამ გამოკედი. ამის ფასი უბრალოა, მაგრამ
მნიშვნელობა კი დიდი აქვს. ეს ჰიტაგორმა აჩუქა დედა ჩემს,
როდესაც ისმენდა ჩენი ჭურუმების ბრძნელს სწავლას; დედა
ჩემია კიდევ მე მაჩუქა ეს ბეჭედი, როდესაც ჩემს. სამშობლოს

კუროდებოდი. უბრალო ფირუზის თვალზედ ამოკრილია ციფრია შეიღი. ეს კენტი რიცხვი სხეულისა და სულის სისალეს ნიშნავს, რადგანაც სისალეზედ გაუყოფელია არათერია. თუ რომ სხეულის რომელიმე უბრალო ნაწილი კარგად არ არის, მოული კაციც აკად არას; თუ რომ ცეცი აზრი დაისადგურებს ჩვენს გულში, მაშინ მოლად სულის ჭარბონია იშლება. და, ეს რიცხვი შეიღი მარადის გაგონებდეს ჩემს სურვილს, რომ შენ უოველთვის ბედნიერი იყო სხეულის სისაღით და გაქვნდეს მოსიუკარულე მშვიდი გული. მაღლობას ნებ გადამიხდი, მამა ჩემო, რადგანაც მაშინაც კი მოვალე ვიქებოდი შენი, თუ ვინდ რომ შემეძლოს დავუბრუნო კრებს სიმდიდრე კრეზისა შენც, გიგეს, მიღებ ეს სპილოს ძვლისაგან გაეთებული ლიდური ქნარი, და როდესაც მის სიმთ იყღერონ, მოიგონებდე მას, ვინც იგი გაჩერქა. შენ კი, ზობირ, გაძლევ ამ ოქროს ძეწეს, რადგანაც, რამდენადც გავიგე, შენ უოველთვის ერთგული მეგობარი იყავ შენის ამხანაგებისა. რაც შენ შეგინება, დარი, მე ვიცი რომ შენ ძალიან გოგირს ეგვიპტის სიბრძნე და კარსკვლაგებით მოჰკედოლი ცა, ამისათვის გაძლევ საჩუქრად ამ ოქროს რკალს, რომელზედაც ხელოვნებით ამოკრილია ზოდიავის ნიმები. შენ კი, ჩემო საუკარელო მაზლო ბარტია, გაძლევ ერთს უძვირთვასეს საუნჯეთაგანს, რომელიც კი მე მაქეს. აღღე ეს თილისმა, ლურჯი ჭირისაგან გაეთებული. ჩემმა დამ ტახოტმა დამკიდა ეს გულზედ მაშინ, როდესაც მიღის წინად უკანასკნელად ვაკოცე. მან მითხოა, რომ ეს თილისმა ბედნიერად დაუგვირვანებს სიუკარულს მას, ვინც ატარებსლ. ამ დროს, ბარტია, მან იტირა. მე არ ვიცი, ვიზედ ფიქრობდა გულ-უკილი ქალი, მაგრამ იმუდი მაქეს იმასაც ესამოვნება, ეს საუნჯე რომ შენ გადმოგცე. წარმოიდგინე;

რომ ტახოტი გაძლევს ამას ჩემის ხელით და ხანდისხნ მოზონებდე ხოლმე ჩვენს თამაშობას საისის ბაღებში.

აქმდის ნიტეტისი ბერძნულად ლაპარაკობდა. ახლა კი სპასულს ენაზედ დაიწყო მტკრევა და უთხრა მოსამსახურებს:

— თქვენც გმადლობთ! თქვენ უკელანი ბაბილონში მიიღებთ ას ოქროს სტატეტს. გიბრძანებ შენ, ბოლეს, უთხრა მან საჭურისს, ზეგ უსათუოდ დაუკირო ამ ხალხს აზნიშნული სახეაქრი. წამიუკანე ეტლოან, კრეზო!

მოხუცი კრეზი საჩქაროდ დამორჩილდა. იმ დროს, როდესაც მას ნიტეტისი კტლოან მიჰყავდა, ქალმა მისი სელი გულზედ მიიკრა და წასჩერნებულა:

— ხომ კმაყოფილი ხარ ჩემის ქცევით, მამა ჩემო?

— მე გეგმნები, ჩემი შვილი, რომ ამ სასახლეში მეფის დედის შემდეგ პირები შენ იქნები, რადგანაც შენს შებლზედ ბრწყინავს ნამდვილი მეფერი ამპარტაგნება და მცირედი საშუალებით ბევრის გაყეთება იცი. სპასულებს ჩემულებად აქვთ სასუქოების აღებ-გაცემა. მათ იციან ერთი-ერთმანეთის გამდიდრება; ასლა შენ ასწავლე ერთი-ერთმანეთის გაბედნერებაც. რა მშენები ხარ! კარგად ზიხარ, თუ კიდევ გინდა ბალიშები! მაგრამ ეს რა არის? ხედამ გზიდამ აკარდხილს მტკრეს ქალაქის მხარეს? ეს სწორედ კამბიზი იქნება, შენს მოსაგებელად მოდის. გამხნევდი, შვილი ჩემო! განსაკუთრებით ეცალე თვალი გაუსწორო შენი ქმრის თვალებს. თუ რომ შენ გამეგოთ და შეუკორმოლად შეხედავ მას, ეს შენის მხრით გამარჯვება იქნება. გამხნევდი, გამხნევდი, ჩემო შვილი; აფოდიტა იყოს შენი შემწე და შემამკობელი თავის მომხილა-

კის მშენებელით. ცხენებზედ შესხედით, მეგობრებო; მგრანტ
მეფე მოდის ჩვენსგან!

ნიტეტისი წელში გაიმართა, სელი მფლევასე გულზედ
მიედო და ისე იჯდა ეტლში. მტკრის ბუქი თან და-თან ას-
დოვდებოდა. აი მზის სხივებზედ მოგზაურთა იარაღმა დაპ-
ლაპი დაიწყო; შემდეგ მტკრი აქედ-იქთ გაიფანტა და მგზა-
რები გამოჩენდენ; რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი უფრო და
უფრო გაიასლოვდებოდენ მოგზაურები. მგზაურებიც და მათი
ცხენებიც სულ ოქრო-ვეცხლით იუპნენ. შეჭედილნი. ორასი მუ-
ტი ცხენოსანი უკან მოსდევდა კაცს, რომელიც შავს ქურანს
ცხენზედ იჯდა. ეს ცხენი არა ერთსელ ცდილობდა გაეტაცა
თავისი მსედარი, მაგრამ იგი ძლიერის ხელით უჭერდა მას თავს
და აცნობებდა ქაფში გაცურებულს ცხენს თავის ძალას. ამ
ცხენოსანს თეთრ-წითელი ტანისამოსი ეცვა, რომელზედაც ნა-
ერთ არწივები და მიმინოები იუპნენ გამოსახულნი. განიერდ
შარგალი და უკითელი ტყავის წაღები ეცვა. წელზედ ოქროს
ქამარი ერტყა, რომელზედაც ხანჯლის მსგავსი ხიალი ეკიდა,
მოჭედილი ძვირფასის თვლებით. დანარჩენი ტანისამოსი ისე-
თივე ეცვა, როგორიც ბარტიას. სელი შავი თბა ჭრნდა, ამა-
ვე ფერის დიდი წერი უბებს და ნიგაპს სრულიად უფროვადა.
მაღალს შებლზედ ომში ხმლის ნაკრავი ღრმათა ჭრნდა გავ-
ლებული, ცხვირი დაკაუჭებული ჭრნდა და ტუჩები წვრილი
მოლად მის არსებას ეტეობოდა მეტი-მეტი სიძლიერე და
უზომო ამპარტავნება.

ნიტეტისში თვალი გერ მოაშორა ამ კაცს. ამის
მსგავსი ქაცი თავის დღეში არ ენახა, ეგონა, რომ ეს
უზომო ამპარტავნული შეხედულობა გამომეტებული იყო
ვაჟ-ვაცურის ძლიერებისა. მას ეგონა, რომ ამ კაცის მოსამსა-

სურედ მთელი ქვეყანა იყო შექმნილი და უკეთზედ უწინარეს თვით იგი. მის დანახვაზედ იგი შიშმა შეიძერო, მაგრამ მისა ჭაღაბრივი გული მიღებულიდა მოხსენენდა მის უელს ისე, ორგარც კაზის ტოტი შემოეხვევა ხოლმე ღონიერს ხეს. იგი ხანა წითლდებოდა და ხან უკითლდებოდა. მას დაავიწედა თავის მეგობრის კრეზის დარიგება, მაგრამ მაინც, ორდესაც კაზიზმა თავის გადმისაც ცხენი ეტოტან შეაუენა, მან სული გამედა და დაუწერ ცეკვა ამ კაცის აღგნებულს თვალს რაც აცოდა, ორმ იგი მეზე იყო, თუმცა ეს მისთვის არავის უთქვამს.

რამდენისაც ნიტეტისი დად ხანს უუჟრებდა, იმდენი უუჟრებო ნახევარ ქვენის მიუღობებულს სახეს ალექსანდრეს ეტოტოდა. ბოლოს კამბიზმა თავის სალამი ხელით ანიშნა და მხლებლებისაგენ წავიდა, ომელინიც მუწოდეთლად ჩამოსტენ ცხენებიდამ, ზოგნი მეფის წინ პირ-შემ დაემხვენენ და ზოგნიც სახლებში ხელებ შეუღოლნი დაგნენ და მდაბლად თავს უკავდენ.

ეხლა თვით მეუეც გადმოხტა ცხენიდამ. მას მაგრალითს მისი მხლებლებიც მიჰყენენ. მოსამსახურებ სწრაფად გაშალეს ხალიები, ორმ მეფის ფეხები გზის მტკერს არ მიჰყარებოდნ, რამდენიმე წამდს შემდეგ კამბიზი მიესალმა თავის ნათე ხავებს და მეგობრების და უმცერდა ტუჩებს საკოცხელად.

შეძეგ კამბიზმა სეღდ ჩამოართვა კრეზს და უთხრა შემჯდარიულ ცხენზედ და ნიტეტისის ეტოლ გაჭერლოდა, ორმ თარჯიმნად უოფილიყო ცოლ-ქმართა შორის.

დღებულნი მისცვიუდენ მეფეს და ცხენზედ შეკდომა უშეს; მან ანიშნა და უნდანი დაიძრენ.

კრეზი კამბიზის ბეჭდით მიღიოდა, ლეროს კტილის ახლოს.

— იგი მშენდერია და ჩემი გული დასტუკება, უთხრა კრეზის ესლა სიტუკა-სიტუკით გადამითარგმნე ჩემს კითხვებზედ და პასუხსაც მომიგებს, რადგანაც მე მარტო სპარსული, ასე რული და მიღიური ენები კიცი.

ნიტეტისმა გაიგო ეს სიტუკები. მისი გული გამოუთქმება დას გრძნობით აივით და უპასუხა სპარსულად:

— ოთვორ გადაკუხადო მაღლობა დმურთებს, ოომელნიც დამესმარნენ მეპოვნა მოწყალება თქენითა თვალთა წინაშე? ჩემთვის სოულიად გაუგებარი არ არის ჩემი მბრძანებელის ლაპარაკი, რადგანაც ეს კუთილშობილი მოხუცი მასწავლიდა სპარსულს ენას ჩენი დადა ხნის მოზაურობის დროს. ნუ გამოწყობი, თუ მე კარგად კურ დაგულაპარავები. სწავლის ვადა ძალიან მოკლე იურ და ჩემი ნიჭი ჩეულებრივი. ქალის ნიჭის არ აფემატება.

კამბიზის ტუჩებზედ ღიმილმა გადიობინა. მას ძალიან მოეწონა ნიტეტისმას ლაპარაკი და კმაყოფილებით მიუგო:

— დიდად მესიამოვნება, ოომ შენთან უთარჯიშნოდ კილა-პარაკო. განაგრძე სწავლა ჩემთა წინა-პართა მშენდერის ენისა; კრეზი ამას იქითაც შენი მასწავლებელი ტქნება.

— შენ მე მაბედნიერებ მაგისთანა ბრძანებით, უთხრა კრეზი, რადგანაც იმისთანა გულ-მოდგინე და ნიჭიერს მოწავეს მაბარებ, ოთვორიც ამაზისის ქალა.

— იგი ამართლებს ძველადგანე გათქმულს, ეგვიპტურს სიბრძნეს, მიუგო მეფემ: — მე მდონია, ოომ იგი მცირე ხნის განმავლობაში მიხვდება მოგვების სწავლას, ოომელნიც ასწავ-

ლიან მას ჩეკნს სარწმუნოებას, რომელსაც შემდეგ სიამოვნებით მიაღებს.

ნიტეტისმა თავი ჩაღუნა. იმ საგანზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, რომელიც მას აშინებდა. ამ დროიდგან მას თაყვანი უნდა ეცა უცხო ქვეუნის ღმერთებისათვის ეგვიპტის ღმერთების მაგიკურად.

კამბიზმა კერ შენიშნა მისი მღელვარება და განაგრძო:

— დედა ჩემი კასანდრანა გასწავლის ჩემი ცოლების მოვალეობას. ხვალ მე თვითონ წაგიყვან დედა ჩემთან. კიდევ გრძელოვანი, რომ შენ ჩემთვის სასამოვნო ხარ. ეცადე ეს სიამოვნება არ მოაკლო ჩემს გულს! ჩეკნ გეცდებით, რომ შენ ჩეკნი ქმეუანა. შეიყვარო და, რადგანაც მე შენი მეგობარი კარ, გირჩევ ალექსანდრ მოეჭც ბოგეს, რომელიც შენს წინაშე გამოვგზავნე; შენ მას უნდა გაუგონო ხოლმე, რადგანაც იგი უფროსია საქალებო დარბაზისა.

— თუმცა იგი ქალების უფროსია, მიუგო ნიტეტისმა, მაგრამ მე მაინც მგონა, რომ შენს ცოლს შენს მუტი მბრძანებელი არავინ უნდა ჰქავდეს; შენს მცირეოდენს სურვილს ჩმის ამოუღებლად დავემორჩილები, მაგრამ ნუ დაივიწები, რომ მე მეფის ქალი კარ და იმ ქმეუნიდამ, სადაც ქალებს და კაცებს ერთნაირი უფლება აქვთ, და რომ მეც ისეთივე ამჰარტავანდ კარ, როგორც შენა, ჩემთ მბრძანებელო. შენ, უოკლად შემძლებელს ჩემს ქმარს და მფლობელს მონასავით დაგემორჩილები; მაგრამ არ შემიძლიან მივეჭერო ერთს უძლურს კაცს, სულ-ხდაბალს მოსამსახურეს და კერც აკასრულებ იმის ბრძანებას.

კამბიზი თან და თან ჰქვირდებოდა და მხიარულდებოდა, ამ ნაირი ლაპარაკი მას არც ერთის ქალისაგან. არ გაეგონა,

გარდა თავის დედისა. ამპატრავანი ამპატრავანის შეუწინა. მან კაცოვილებით დაუქნია ჭალს თავი და განაგრძოს.

— შენ მართალს ამხობ. მე კუბრძანებ, რომ საკუთარი სა-
დგომი მოგიმზადონ. შენ მხოლოდ ჩემს ბრძანების აასრულებ
იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცე. გულ-ღია ჰატარა
სახლი დავიდებულ ბაზთა შორის დღისვე მომზადდება შენს
საცხოვრებლად.

— გმადლიბთ, ათასჯერ გმადლობთ, მიუგო ნიტეტისძა. რომ იცოდეთ, რო ნაირ გამაბედნიერეთ ჩმასთანა განკარგულებით! შენი საყვარელი მმა ბარტია ბევრს მეტაპარაკებოდა და
კადებულს ბაღებზედ, და არც ერთი სასწაულთაგანი შენის და-
დის სამეფოისა ისე არ მოგვწონდა, როგორც ის მეზე, რო-
მელმაც ბრძანა ამ ამწვანებული გორის აშენება.

— ხელვე შეგიძლიან შენს ახალს სადგომში დადგე. ახლა
მითხარ, როგორ მოგეწონენ შენა და კვიპტელებს ჩემი ერ-
ჩები?

— მაგას როგორ მეითხავ? ვინ არ შეიუვარებდა ამ კუთილ-
შობილს მოხუცებულს, როდესაც მას გააცნობდა. განა შესაძ-
ლო იყო არ დაგვიფარებისა ღიანსება ახალგაზდა გმირებისა; შენის მეცნიერებისა? უკეთა ვგინა ძვიროვასნი შეაქმნენ ჩვენის
სახლისათვის; განსაკუთრებით შენი მშვინიერი მმა იზიდავდა
უკეთა გულს. კვიპტელი ცუდის თვალით უურებენ უცხო
ძევენელთ, მაგრამ როგორც კა შენი მმა დაინახეს, მოლად
სალხმა მაზედ შექმნა ჩერჩელი.

ამ სიტყვების თქმაზედ მეფემ შებლი შეიძმუხნა. მან ისე
შემოჭერა თავის ცხენს დეზები, რომ იგი უაღუზედ შედგა,
მოტრილდა და თავის მხედარი ამაღლასთან მდივანი. რამდენი-
მე წამის შემდეგ უკეთა ნაბილობის კუდოებს მიუხდოვდნ.

თუმცა ნიტეტისი ეგვიპტელი ქალი იყო და უზარმაშა-
ნი შენობებისათვის თვალი შეწეული ჰქონდა, მაკამ მაინც
ძალასან გაოცდა, ოდესაც დაინახა უზარმაშარი, დადებული
ქალაქი.

ქალაქის გადავნის კედლები მტრისაგან აუღებულის ჰქა-
დენ, რადგანაც უცი წურთა სიმაღლე ჰქონდათ, და სიგანით
ისეთი განიერი იყო, რომ ორს ეტლს თავისუფლად შეეძლო
მაზედ გაეკარა. თრას ორმოც-და-ათი კოშკი ამშენებდა ამ
კედლებს და სიმაგრეს უმატებდა; ამზედ უფრო ბერი სიმაგ-
რების აშენება მოუნდებოდათ, თუ რომ ბაბილონის ერთის
მხრიდამ გაუკალი ჭარსები არა ჰქონდათ. ეს დიდი ქალაქი
მდინარე უფრატის ტრიუ მხარეს იყო გაშენებული. ამ ქალაქის
სირგველე ცხრა მალი იყო და მის გარს შემოვლებული კედ-
ლები იცავდენ იმისთვის შენობებს, რომელისთვისც არც ფივ-
ში და არც მემფისში არ მოიპოვებოდენ.

ქალაქის ოკინის კარი, ორმელსაც 50 წურთა სიმაღლე
ჰქონდა, მეოვესა და იმის მხლებულთ მასლოვების უმაღლეს გა-
იღო. ამ შესავლის აქეთ-იქით გვერდებზე თითო კოშკი იდგა
და მათ წინ გუმაგისავით იდგა ჭიისგან გათლილი ფრთიანი
სარი კაცის თავით და წვერით. გაკვირვებული უურებდა ნა-
ტეტისძ ამ უზარ-მაზარს კარგებს და მხარულად გასცემო-
და გრძელს განიერს ჭუჩას, ორმელიც მისი პატივის-ცემისა-
თვის მშვენივრად იყო მორთული.

ორგორც კი გამოხნდა მეუე რქოს ეტლით, ხალხმა
სიხარულით უკირილი შექნა; ეს უკირილი განსაკუთრებით უფ-
რო გამდიერდა მაშინ, ოდესაც ხალხმა თავის საკურელი
ბარტია დაინახა, ორმელიც მშვიდობიანად დაბრუნებულიყო
მოგზაურობიდამ. ხალხს თვით კამბიზიც დიდი ხანია არ ენა-

ხა, ოდგრძნაც მეფე, მიღილთა ჩვეულებისამეტო, იშვიათად ენახვებოდა ხალხს. ამ ამ მიზეზებისა გამო ამ დღეს მთლად ბაბილონი იქმნებოდა, რომ დაქნახათ შიშის აღმძრები მშრძანებელი და უკეთათვის საუკარები, მოგზაურობიდამ მშვიდობით დაპრუნებული ბარტია. სახლის ფანჯრები საკსენი იყვნენ ცნობის მოუკარე ჭალებით, რომელიც მეფის და მის ამაღის მაახლოვებაზედ უკავილებს ისროდენ გზაზედ. მთელი ჭუჩები მოფენილი იყო ბზისა და სხვა ხების ულორტებით; ფანჯრებიდამ ხალიჩები და შალები გამოიფინათ; სხვა და სხვა ნაირის სურნელებით ზავდებოდა ჭარი; გზის ორივე ნაპირის ათასობით იდგენ ბაბილონელნი და ხელში ექირათ გრძელი ჭოხები, რომელთაც თავებზე ოქროსა და ვერცხლის კაშლები, ფრინველები და უკავილები ჭრონდათ გაკეთებული.

უკავა ჭუჩები, რომლებზედაც მეფეს თავის ამაღით უნდა გაერთიანოს, განიერები და სწორები იყვნენ; სახლები აგურისა იყო, მაღლები და მოხდენილები. უკავა შენობებზედ მაღლად მოჩანდა ტაძარი ბაალისა თავის უზარ-მაზარის კიბით. მეფე უახლოვდებოდა სასახლეს, რომლის სიდიდეც თვით ჭალაჭის სიდიდეს შეეფერებოდა. სასახლის კედლებზედ სურათები ეკიდა, რომლებზედაც გამოხატული იყვნენ ფრინვლები, ხალხი, ნადირინი და თევზინი, ომანობა და ნადირობა. ჩრდილოეთისგენ, ზედ წეალზედ, გადავიდული იყო ბალები; აღმოსავლეთისგენ ეფრატის მუნიკ ნაპირზედ აშენებული იყო სხვა უფრო პატარა სახლი, რომელიც კიბით უერთდებოდა უმთავრეს შენობას.

მეფე შეკადა სასახლის ეზოში. ნიტეტისის ეტლის ცხენები შესდგენ, მონები შეკლოდენ მას ეტლიდამ გადმოსვლას.

იგი ახალს სამშობლოში იმუოფებოდა და მაღვე შეიტყანეს დროებით საცხოვრებელს ქალების ოთახებში.

კამბიზი, ბარტია და დანარჩენი ჩემი ნაცნობნი თავიანთის მხლებლებით ჯერ ისევ სასახლის ეზოში გაშლილს ხალიებზედ იდგნენ, როდესაც ქალების ხმაურობა მოისმა და საკვირველის სიტურთის სპარსელი ქალი, მდიდრულად მორთული, გამოვარდა ეზოში კაცების წინაშე; მას რამდენიმე ქალი მოსდევდა. უკანასკნელი პირქვე დაემხნენ გაცების ცოტა მოშორებით; მაგრამ, როდესაც ტურთა ქალმა ალექსანდრია დაუწეო შორის გზიდამ დაბრუნებულებს, კამბიზმა შექვერა:

— გრცხვენოდეს, ატისა! ნუ დაივიწებ, რომ მას აქვთ, რაც შენ საუკება გაგივეთეს, ბავშვი აღარა ხარ. მე იმაზედ არათერს ვიტევი, რომ შენ მმის დაბრუნება გიხარიან, მაგრამ სიბარულშიაც მეფის ოჯახის ქალმა მართებულობა არ უნდა დაივიწეოს. წადი დედოფლთან. აგრ იქა დგანან შენი გამზღვეულები. წადი და უთხარ მათ, რომ დღევანდელის დღესასწაულიც გამო შენთვის დანაშაული მიჰატევებია. მაგრამ თუ მეორედ კიდევ მოსულხარ ამ ადგილას, ბოგესს კუბრძანებ თორმეტი დღით დაგატუსაღოს. გახსოვდეს ეს, შე გვეო, და უთხარ დედას, რომ მე და ჩემი მმა ამ საათში მოვალო მასონ. ამა, ერთი მაკლცე! არ გინდა? დამაცადე, შე კაუტო!

ამ სიტუკების შემდეგ მეფე მივარდა ქალს, მარცხენა ხელით ისე ძალიან მოუკირა ხელზედ, რომ მან ხმა მაღლა დაიყვარა, მარჯვენა ხელით კი გადაუღო ჭიუტს დას მშენავრი თავი და აკოცა, ქალი ტირილით გაიჭრა თავის გამდლებისაკენ და დამბალა სასახლის ოთახებში.

როდესაც ატისა გაიჭრა, ბარტიამ უთხრა:

— კამბიზ, შენ ისე ძალიან მოუჭირე საწყალს ბავშვის ხელი, რომ მან შექვითა ტეავილისაგან.

მეუეს სახე მოედრულა, მაგრამ უშესაბამის პასუხი კა არ მიუწოდ, მხოლოდ სახლისაგენ გაიშვირა ხელი და უთხრა:

— ესლა ჩემისთან წავიდეთ; მთხოვა მიგიუანო მასთან დაბრუნების უმაღვე, ქალები ჩემისთან მოუთმენელად გელიან, ნიტეტისმა მთხოვა, რომ შენ ეგვიპტელი ქალებიც მოგიხილავს. შევეძრე მიტას, რომ მან საუკუნოდ შეგარჩინოს სიუმაწვილე და დაგიხსნას სიბერის დალმეჭილობისაგან.

— მაგრა სომ არ გინდა სთქვა, ჰეთთხა ბარტიამ, რომ მუს სხვა ისეთი ღირსება არა მაქს-რა, რომელიც ჩემს მოსუცებულებას დაამშვენებს.

— მე არავის აჯუხესინი ჩემს სიტყვებს. წავიდეთ!

— მე გთხოვ შემთხვევა მამცა, დაგიმტეიცო, რომ ქვემოქმედებით არც ერთს სპარსელს არ დაუკარდები.

— ბაბილონელთ აღტაცება გიმტეიცებს, რომ შენთვის არავითარი ქველობა საჭირო არ არის სალხის გულის მოსაგებად.

— კამბიზ!

— ესლა წავიდეთ! მასაკეტებთან იმი უსათუოდ მოგვიხდება. შენ გეშენება შემთხვევა დაამტეიცო როგორიც ხარ და რაც შეგიძლიან.

აამდენიმე წამის შემდეგ ბარტია გადახუული იუო თავის დედასთან, რომელიც გულის ცტმით მოელოდა თავის საუკუნელს. ესლა, როდესაც მან გაიგო მასრ ხმა და ხელუბი მოუსვა მის სახეს, უსაკულისფერი დავიწყება, მხოლოდ თავის უნცროსი შვილის დაბრუნებით ხართბდა და ძლიერს მეუეს, უფროს შვილს გი ხავლებ უკრადებას აქცივდა;

მეფე მწერალე დიმილით უუკუბდა თავის დედას, ოდესაც
იგი მთლად თავის დედობრივის სუვარულით ბარტო უნცროს
შვილს ქავერლებოდა.

კამბიზი ბატარალითვე ჩვეული იყო უოველივე თვისა სურ-
ვილის ასრულებას, მისი წარბების ჩხევაც კი ბრძანებად მიჩნ-
დათ; ამისათვის იგი კერ იტანდა მცირე ღვენს წინააღმდეგობას
და საშინლად ბრაზდებოდა სოლმე, ოდესაც რომელიმე თავის
შემურდომი გაუბედავდა შეკამათებას. თუმცა კამბიზის მამა
კირი გენიოსი კაცი იყო და სპარსეთის მცირე ხალხი დაჯე-
ბულ ხალხად გასადა, მაგრამ მან თავის შვილი კარგად მირ
აღზარდა; იგი თხოულობდა, რომ მის შვილს კამბიზს, ჭერ
ისევ უმაწვილს, უკლა შემურდომნი ბრძანდ დამონებოდენ და
ის კი ავიწყდოდა, რომ გისაც ბრძანებულობა უნდა, პირველად
თვითონ უნდა ისწავლოს სხვის სამსახური.

კირის ცოლმა ქასანდანამ პირველად კამბიზი შემა, შემ-
დეგ სამი ქალი და ბოლოს, ჩუთმეტი წლის შემდეგ, ბარტია.
კამბიზი ბავშვი აღარ იყო, როდესაც ბარტია დაიბადა და ამი-
სათვის ამ უკანასკნელს მშობლები დიდს უურადღებას აპერობ-
დენ. ლამაზი, ჩვილი გულისა და აღერსიანთ ბავშვი შეიქმნა
დედ-მამის თაყვანის საცემელ კერპად. ტახტის მემკვიდრეობ კამ-
ბიზმა რამდენსამე რმში თავი გამოიჩინა; თვისის ამჰარტავა-
ნის და მკაცრის ხასიათით მან მოიპოვა სულ-მდაბალი მონე-
ბი, მაშინ როდესაც ბარტიამ აუკის კეთილის და მოსიყვარუ-
ლე გულით შეიძინა ერთგული მეგობრები. საჯსს კამბიზისა
კამბიზიდა და თრთოდა მის დანახვაზედ, თუმცა ბევრს სა-
ჩუქრებს ხარჯავდა და ბარტიაც უუკარდა, როგორც სურათი
თავის მამისა.

კამბიზი კარგად გრძნობდა, რომ იგი კურა ფორთ კერ

იუდედა იმისთხა სიუკარულს, ოოგორსაც ხალხი ბარტიას უცხადებდა. მას არა სმულდა მმა, მაგრამ შერდა კი, ოთმ სალხს უკარდა ას ბავშვა, ოომელსაც ჯერ არავითარი კაუკაცობა არ გამოეჩინა. ურკელივე რაც მას არ მოსწონდა, უსამართლობად მიაჩნდა; რაც უსამართლობა იყო, იმას ჰქიცხავდა და მისი გაკიცხვა საშინელება იყო თვით სასახლის დიდებულობათვის.

ხალხის აღტაცებამ, დედისა და დების სიუკარულმა და განსაკუთრებით ნიტეტისის ქებამ, ოომელიც ბარტიას წილად ერგო, კამბიზის გულში ეჭვიანობა დაჭიბადა კამბიზის ნიტეტისი ძალიან მოეწონა. ამ ძლიერის მეფის ქალს კამბიზისავით უბრალო რამ ეჭავრებოდა და საულიად ემონებოდა მის დიდებულებას; ამ ქალმა კამბიზის გულის მოსაგებად დასძლია ერგელივე სიძნელე და შეისწავლა სპარსული ენა; ამ დიდებულმა ქალმა, ოომელსაც სიტუაციები ნახევარი ეგვიპტური ჭიონდა და ნახევარი ბერძნული (მისი დედა ელაინთა ნამომაკლობისა იყო) გააკიცოვა იგი და ღრმა შთაბეჭდილება მოსხდინა მასზედ. ამისათვის იმისგან ბარტიას ქებამ მის გულში უკმაყოფილება დაჭიბადა და ეჭვიანობას შეაჩვინა.

ოდესაც კამბიზი თავის მმით ჭილების ფთახებიდამ გამოვიდა უთხრა მას.

— შენ მოხუკე შემთხვევა მამეცა კაუკაცობის გამოსაჩენად. მე შენ მაგაში უარს არ გეტუვი. თავურები აჯანუდენ და მათ სამზღვრებზედ ჯარი გაუგზავნე. წადი რაგეში, ჯარის უფრო-სობა ჩაიძიარე და დაძინასკე, ოოგორი ხარ და ოის გაკეთება შეგძლება.

— გმადლობთ, მმაო, უთხრა ბარტიამ.— ნებას მიბოძებთან წავიუგანო ჩემი მეგობრები — დარია, გიგერ და ზოშირი?

— მაგაზედ უასტ არ გატევი; იუკით კაუ-კაცნია და დორს ნუ დაჭერგავთ, რომ სამი თვის უკან დმბრუნდეთ უმ-თავრეს ჯარში, რომელიც მასაგეტების დასასჯელად იგზავ-ნება.

— ხელვე წავალ.

— მშვიდობით იყავ.

— თხოვნას შემისრულებ, თუ აურამაზდა ჩემს სიცოცხლეს დაცვას და გამარჯვებული დავბრუნდები?

— შევასრულებ.

— მაშ მე გავიმარჯვებ, თუ განდ რომ ასის ქაცით მომი-სდეს ათას კაც თოვლურებთან ბრძოლა. ყმაწვილს თვალები უბრწყინავდენ, იგი საფოზედ ფიქრობდა.

— მე ძალიან მოხარული ვიქნებ, თუ შენს მჟღარ-მეტევე-ლურს სიტყვებს საქმით დაამტკიცებ. მაგრამ მოიცა, მე მინდა ზოგიერთა რამეზედ მოგელაპარაკო. შენ ოცის წლისა შე-სრულდა და დორ არის ცოლი შეირთო. კეთილშობილი გი-დანსესის ქალი როსკანა სრული წლოვანი შეიქმნა. ამბობენ, რომ ძალიან დამაზდა და ჩამომავლობითაც შენი საივე-როა.

— ჩემო ძმარ, ცოლის შერთვაზედ ნუ მელაპარაკები, მე...

— შენ ცოლი უნდა შეირთო, რადგანაც მე უშეილო კარ.

— მაგრამ შენ ჯერ ყმაწვილი ხარ და უშეილოდ არ დარჩე-ბი; მე არც ვაშმიობ, რომ თავის დღეში ცოლს არ შევირთავ; ნუ გამიწურები, ესლა, როდესაც ჩემი გაშეგაცობა უნდა გამო-გინიონო, ჯერ არ მინდა ცოლი შევირთო.

— მაშ როდესაც დაბრუნდები, როსკანა უნდა შეირთო. მაგ-რამ გირჩევ კი, რომ ლამაზი ქალი თან წაიყვანო ღმერ-სპარსელები მაშინ უფრო კაუ-კაცურად იძრძვიან სოლმე, რო-

დესაც თავის გულის საუნჯენა თავიანთ ჭარში ჰქავთ.

— ამ საქმისგან დამისენ, ჩემთ მმავ. გაფიცებ მამა ჩემის სახელს, ნე მამასკენ თავს იმისთანა ცოლს, ორმედულაც არ ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე. ოსკენა ქალების მოტრივალე ზომირს მიათხოვე, მაეცი იგი დარიას ანუ ბესს, ორმედული ვიდარნეს ნათესავად მოსვდებან; მე კი უძედური ვიწეროდ...

კამბიზმა გაიცინა და მმას ლაპარაკი გააწევებინა:

— შენ რომ კაცმა უური დაგიგდოს, ეგონება, რომ სპარსელი აღარა ხარ და ეგიპტოლი გამხდარხარ. მე არა ერთხელ ვინანე, რომ ისეთი ბავშვი, როგორიც შენა ხარ, უცხო ქვეშაში გააზავნე! მე ჩემული არა ვარ, რომ ჩემს სურვილს ვინა მე ეწინააღმდეგოს და იმი გათავდება თუ არა, ცოლი უსა-თუოდ უნდა შეირთო. ეხლა კი შეიძლება უცოლო წახვიდვ იმში, რადგანაც ისეთი არაფერი მინდა თავზედ მოგახვიო, რაც შენს ვაკ-ვაცობას შეამცირებს. მაგრამ მცონი სხვა სა-იდუმლო მიზეზების გამო ჰურო უარს ცოლის შეოთვაზედ. მაში მებრავები. ეხლა წადი. მაგრამ იმის შემდეგ შენს უარის თქმას უყრადთებას არ მიგაშევ. ხომ კარგად იცი ჩემი ხა-სიათი!

— ამის შემდეგ იქნება მე თვითონ გოხოუთ ისა, რასაც ეხლა უარისა ვეოფ. ძალად ბედნიერების თავზედ მოხვევა უბე-დურების მსგავსია. გმადლობთ თხოვნის აღსრულებისათვის.

— ეცადე, რომ ჩემი თავზიანობა ბოროტად არ მოიხმა-რო. არა მხიარულადა ხარ! როგორც გატურ. შენ გიუვარს ვინე და ამისათვის სხვა ქალები გეჯავრებიან.

ბარტია უურებამდის გაწითლდა, მმას ხელი დაუჭირა და უთხრა: დევრს სულარ გამომეკიდები, ნება მიძოძე მეორეთ

გადაგისადოთ მაღლობა. ნებას მამცემ დედასთან და ატოსასთან გამოთხოვების შემდეგ ნიტუტისსაც გამოვეთხოვთ?

კამბიზმა ტუჩზედ იჯინა, დაკვირვებით ჩარტიას და, უქიმნა რა მმას შევრთომა, მრისხანედ შექვერა:

— მალე წარი თოფურებთან! ჩემი ცოლი შეს დახმარებას აღარ საჭიროებს; მას სხვა მცველები ჰყავს!

ამ სიტუაციის შემდეგ იგი გამორდა ბარტიას და წავიდა ოქროთი და ძვირფასის თვლებით მორთულს დარბაზში, სადაც მას სარდლები, მსაჯული, ხაზისადრები, მოთათბირები, საჭურისნი და სხვა მრავალი პირი ელოდენ.

გამოწევინვალებულს შეა დარბაზში ოქროს კარაუიანი სტოლი დაგა, რომელზედაც ეწყო მრავალი ოქროს და კერცხვლის ჭურჭელი, თევზები, აზარუელები და ფიალები. ზალის გეგრძელები პატარა სტოლი დაგა, რომლის მორთულობაც რაძუნიმე მიღიანი ლირდა. მეფე ჩეულებრივ ამ სტოლზედ სჭამდა პურის. ფარდები ითარავდა. მეფეს დანარჩენ მოქაითებულებისას, მაშინ როდესაც თვითონ დარბაზს ზალის და მასში მცხოვრი სტუმრებს გარეად ჰქონდა. მეფის სუფრაზედ ჯდომა უდიდეს ბედნიერებად ითვლებოდა; ისინიც კი ბედნიერად რაცხდენ თავიანთ თავს, რომელთაც მეფის სუფრიდაში საჭმელი მიუვიდოდათ.

როდესაც კამბიზი დარბაზში შევიდა, უკედა იქ მუოფნი მის წინ პირ-ქეკ დაქმსვნენ; მხოლოდ მისი ნათესავნი იდგნენ ზეზედ და მხოლოდ თავს უკრავდენ.

როგორც კი მეფე დაკვდა თავის სტოლზედ, დანარჩენებიც მაშინკეთ დასხდენ თავ-თავის ადგილას და დაწყო საკვირველი ნადირობა. სუფრაზედ შემწვარი ნადირები მთლიანად მოქმედ-

დათ, და ოლქესაც უკელანი შემცნენ, მოსამსახურებმა ტები-
ლულობა მოიტანეს.

შემდეგ მოგიდენ მონები და სარჩენი საჭმელები აღდეს.
მერე მოიტანეს მოსამსახურეთ ღვინით საკსე დიდორონი ჭურ-
ჭელი; მეფე გამოვიდა თავის ათასიდამ და სტუმრების სუფ-
რის თავში დავდა. ღვინის დამსსმელნი ჯერ თვითონ სმიდენ
და ამით არწმუნებდენ სტუმრებს, რომ ღვინო მოწამდელი
არ იყო. ამ დროს კაშიზი სრულდად ჩემად იჯდა. მას ეჭია
ჭერნდა, რომ ბარტიას, უეპარდა მისი ახალი ცოლი. რად გა-
ნაცხადა ბარტიამ უარი ცოლის შერთვაზედ? რად უნდოდა მის
თოვლურებთან წასკლის წინად ნიტეტისი ერთხელ კიდევ ენასა?
ნიტეტისმა რად შეაქო ბარტია, ოლქესაც მას აძაზედ არავინ
ეკითხებოდა?

«კარგი რომ მიდის, რადგანაც მან არ უნდა მოჰა-
კლოს სიუკარულს და ამ ქალს, ფიქრობდა მეფე. ის რომ ჩე-
მი მმა არ იყენეს, აქამდის იქ გაკვიცვნიდი, სადამაც აზარა-
ვინ ბრუნდება!»

შეაღამე გადასული იყო რომ ღსინი გათავდა. მოგიდა
საჭურისების უფროსი ბოგესი, რომ კაშიზი ქალების ათა-
ხებში წაეუკანა, სადაც ჩეკულებრივ ამ დროს მიდიოდა ხოლმე,
თუ რომ ძალიან მოვრალი არ იქნებოდა.

— ფერიმა მოუთმენელად მოგეფით, — მოახსენა ბოგესმა.

— და მელოდის! მიუგო მეფემ. ჭარში დავიდებული ბა-
ლების სასახლე ხომ დაალაგე?

— ხეალ შეიძლება იქ გადასკლა.

— რომელი ათასები მოუმზადე ეგვიპტელს ქალს.

— ის ათასები, სადაც მამი შენის მურე ცოლი, განსკენე-
ბული ამიტისი იდგა.

— კარგი. ნიტეტის დიდის პატივის-ცემით უნდა მოექცეთ; შენ მას არაუერთ უბრძანო, მხოლოდ რაც მე გითხრა, ის შეატყობინე სოლმე.

ბოგესმა თავი დაუკრა.

— თვალ-უერთ გეჭიროს, რომ არავინ, თვითონ კრეზიც გა არ დაეჭაპარავის, სინამ მე... სინამ მე არ გიბრძანებ.

— კრეზი დღეს საღამოთი იყო მისთან.

— რა უნდოდა ი.ას ჩემის ცოდნისაგან?

— რა მოგახსენოთ, ბერძნულად ლაპარაკობდენ და მე ბერძნული არ ვიწი; მხოლოდ ეს კი მესმოდა, რომ ბარტიას მალ-მალე ასესენებდენ და მე მგონია, რომ ეგვიპტელმა ქალმა ცუდი ამბავი მიიღო. იგი ძალიან დაღონებული იყო, როდესაც, კრეზის წასკლის შემდეგ, მე შეკვედ.

— გაგიხმეს ეგ ენა, წაიღულებულა კამბიზმა და საჭირისს ვირთ მოარიდა; მერე ფარნიანს კაცს და ლოგინეის გამშელებრ გაჭერა უკან, რომელთაც მეუე საწოლში მიჰყავდათ.

მეურე დღეს შეადლისას ბარტია თავის მეგობრებით და ამალით თოვუერთს სამზღვაოზედ წაჭიდა. კრეზმა გააცილა ბარტია ბაბილონის კარებამდის. გამოთხოვების დროს ბარტიაშ წასჩურჩულა თავის მოხუცს მეგობარს:

— თუ რომ ეგვიპტეში გაგზავნილმა ჩემთანაც მოიტანოს წერილი, მაშინვე გამომიგზავნე.

— განა შეგიძლიან ბერძნულის წერილების წაკითხვა?

— გიგესი და ეროსი დამეხმარებან!

— ნიტეტისმა, რომელსაც შენი წასკლა შევატყობინე, მოგითხვა შემოგითხვალა და გთხოვა ეგვიპტეს ნუ დაივიწუებო.

— რასაკვირველია არ დავივიწუებ!

— ლეროთები იუვნენ შენი მფარველი, შვილა. მამი შენისა-

გით შემწყალებელი იყავ აჭანუებულესია, კარგზდ იცოდე, რომ
უძლიასია გულებურთლად მოქცევა, სინამ სისხლის ღვრა,
რადგანაც ხმალი კაცია ჰქონავს, გულ-კეთილობა და სიმშეიდე
შმრმანებელისა კი აბედნიერებს საფსს. რაც შეიძლო მალე გაა-
თავე ღმიანობა, რადგანაც ომი სახელმწიფოს წესზე მსვლე-
ლობას აფერსებს; მშვიდობისნობის დროს შვილები მამებზედ
დიდ ხსნს ცხოვრობენ, ომის დროს კი მამები შვილებზედ.
დმიტოებია კოსოვი, რომ გამარჯვებული დაბრუნდეთ.

II

დ კაბბიზმა დამე უძლილდ გაატარა. ეჭვიანობამ გაუცხოვე-
ლა მას სურგილი თავისად დაეგულა ეპიზტელი ქალი, რომელ-
საც იგი ჯერ თავის ცოლს კერ დაუქახებდა, რადგანაც სპარ-
სულის კანონის მალით მეტე კერ შეირთავდა უცხო მჩეულებელს
ქალს იქამდის, სინამ ქალი არ შეისწავლიდა რანულს ჩეულე-
ბათ და არ მიღებდა ზოროასტრის სარწმუნოებას.

კანონით, ნიტეტისი მთელი ერთი წლის განმავლობაში
უნდა გამზადებულიყო, რომ სპარსეთის მეფის ცოლი გამსდა-
რიყო; მაგრამ კაბბიზისათვის კანონი რა არის? კანონი იმის
ნება იყო და ოთხს თვეს საკმაოდ სთვლადა ნიტეტისის მთ-
სამზადებულად; რომ შეესწავლა მას მოვარა სწავლა და შემდგრ
ქორწილი გადაეხსდა.

დანარჩენი ცოლები ამ დროს კაბბიზს სძაგდებ და ზიზ-
ლით უცმეროდა. ჯერ ისეუ უმარვილი იყო, როდესაც იმის

სასახლე სავსე უკა ლამბაზი ქალებით, ოომელნიც მოუკანილნი იყენებ სომხეთიდამ, კავკასიიდამ და სხვა ადგილებიდამ და კულა ეს ქალები კამბიზს ეკუთხნოდენ. ამასთანავე ახემენიდების რამდენიმე ქალი კანონიერ ცოლებად ჰყავდა.

კამბიზის დედის კასანდრას დისწული თემიდა დღეგანდამდის ერთად-ურთი საუკარელი ცოლი იყო მეფისა, ეს ქალი კამბიზისათვის თთქმას უფრო ძირიფასი იყო, სინამ ნაყიდი მონა. მაგრამ ეს ქალი აღარ მოსწონდა კულა კამბიზს, განსაკუთრებით როდესაც ნიტეტისტებდ ფიქრობდა.

კამბიზს ეპონა, ომ ნიტეტისი სულ სხვა აგებულებისა იყო, სინამ დანარჩენი ქალები. იგინა შირმოთხენი იყენებ და ნიტეტისი კი დედოფალი, სხვები მას იურსთა მტკერად უხდებოდენ; ოდესაც იგი ნიტეტის წარმოიდგენდა ხოლმე, ეგონა, ომ იგი ისევე დიდებულად და აშპარტავნად სდგას, როგორც თვითონ. ამის შემდეგ ნიტეტისს უნდა დაჭირა არამც თუ თემიდის ადგილი, არამედ უნდოდა აემაღლებინა, მაგრა როგორც ერთს დროს მისმა მამამ კირმა აღამაღლად თავის ცოლი კაცანდანა.

მხოლოდ ერთი ნიტეტისი შეეშეღებოდა შეს თავის ცოდნით და ოჩევით, მაშინ ოლდესაც დანარჩენი ცოლები ამისთვის იყენებ, ომ თავიანთი ცხვლურება შრინჭვაში და, ჭორივანაობაში გაეტარებინათ. ეგვიპტელს ქალს უნდა შეკუპარებოდა კამბიზი, როგორც თავის მბრძანებელი, მამა და მმა უცხო ქეყანაში.

«მას უნდა კუპარდე მე, ამბობდა კამბიზი თავის-თავად.

«მერიდოს ბარტია, თორებ მაღე გაიგებს, რაც მოუკა ამას, ვინც მე მეწინააღმდეგება!»

ნიტეტისაც დამე არა სძინავდა.

იმის ოთახის გეგრძით ერთი ოთახი იყო, სადამაც
შეკლამების სმაურობისა და სიმღერის ხმა გამოდიოდა. მან
არა ერთხელ გაიგონა ბოგესის სმაურობა, რომელიც თავის
ქვეშეურდობ ჭალებს ეხუმრებოდა. როდესაც ოთახებში მუედ-
როება ჩამოვარდა, მისი გონება გაჭირინდა სამშობლოსაკენ,
საწყალ ტახოტიან, რომელიც სწერდა იმასა და მშენერს
ბარტიაზედ. შეძეგ დიდი ხნით მოგზაურობით დაღლილმა
ჩაძინა კამბიზზედ ოცნებით. მან ნახა სიზმარში კამბიზი,
რომელიც თავის ქურანს ცხენს დაქროლებდა. ცხენი შეშინდა
მკვდარი ბარტიას დანახვზედ, რომელიც გზაზედ ეგდო; ბო-
ლოს ცხენმა მეფე ნიღოსში გადავდო და მთელი წელი სის-
სლით შეიღება. იგი შეშინებული თხოვლობდა შეკლას, მაგ-
რამ მის ძახილს მხოლოდ პირამიდები აძლევდენ ხმას და ასე
იტანჯებოდა, სინამ არ გამოეციდა.

ნიტეტისმა გააღო ფანჯრები და გაიხედა. მის წინ გადა-
ჭიმულიყო დიდი, მშენერი. ბაღი, რომელშიაც შადრევნები
იყო დამართული და დილის ნამი უკავილებზედ ციმციმებდა.
დილის სიგრილემ სრულიად გამოაფხიზდა ნიტეტისი, რისა-
თვისაც მეორედ აღარ დაიძინა და სულ ფანჯრებიდამ გაიცემ-
ონდა. მან დაინახა ორი ჩდამიანი, რომელიც მისებან და-
ჭრილ სახლიდამ მიდიოდენ. ერთი მათგანი ბოგესად იცნო,
რომელიც სპარსელს ჭალს ელაპარავებოდა. ორიგენი მის ფან-
ჯრას დაუახლოედენ. ნიტეტისი დაიმაღა და უური დაუგდო,
რადგანაც მათ მისი სახელი ასესენს.

— ეგპაზტელს ჭალს ჯერ მსევ სძინავს, სათქმა საჭურისმა;
ეტეობა გზაში ძალიან დაღლილა.

— მალე მიპასუხე, უთხოა სპარსელმა ჭალმა: ნუ თუ შენა

ფიქრობ, რომ ამ უცხო ქვეუნის ქალისთვის მე სრულიად და-
მივიწყების.

— სწორედ, ჩემო ტიკინო.

— დასამტკიცებელ საბუთებად რა გაჭის?

— ასაღი ცოლი ჩემს განკარგულებას კი არა, მეფის ბრძა-
ნებას უნდა ემორჩილებოდეს.

— სულ ეგ არის?

— არა, ჩემო კარგო; მაგრამ მე კარგად ვაწნობ მეფის და
იმის სახეზედ ისე კარგად ვკითხულობ იმის აზრს, როგორც
სამღრთო წიგნებს.

— მაშ უნდა დავლუპოთ ის ქალი!

— სათქმელად ადვილია, ასასრულებლად კი მნელი, ჩემო
მტრედო.

— ჩვენ ხომ არავინა გვხედავს და მეც ხომ საჭირო ვიქე-
ბი შენთვის.

— აგრე იყოს; მაგრამ მითხარ ჩეარა, რა უნდა ჰქნათ?

— გმადლობ, ჩემო მტრედო, თედიმა. ჯერ ჩვენ უნდა და-
მშვიდებული ვისხდეთ და კარგს შემოხვევს მოკედოდეთ.
როდესაც კუზი, ეს პირ-მოთხე ვაცი დაიკარგება, რომელსაც
გვერდი ქალის მსარე უჭირავს, მაშინ ქალს მახე უნდა და-
შეგოო....

მთსაუბრენი ისე შორს წაკიდენ, რომ ნიტეტის აღარა-
ფერი ესმოდა. ნიტეტისმა ფანჯრები ჩაეტა და დაუძახა მოახ-
ლეებს ტანისამოსი ჩაეცმათ. ესლა იგი იწნობდა თავის
მტრებს და ესმოდა, რა განსაცდელიც მოელოდა. მაგრამ მას
მაინც ამშარტავნულად ეჭირა თავი, რადგან კაშაზის კანონიე-
რი ცოლი უნდა გამხდარიყო. არას დორს მას ისე არ უგრძენია
თავის თავის პატივი და ღირსება, როგორც ესლა, როდესაც

ეს სამაგელი მტკიდი ნახსა. მას გამარჯვების იმედი არ დაჭინობია და სწამდა, რომ სიმართლე ბოლოს თავისას გაიტანდა.

— დღეს დიღით რა სმაურობა იყო? ჰქითხა ნიციეტისძა შირველად შემოსულს მოახლეს, რომელიც თმებს უსწორებდა.

— შენ მგრანა თათბრის რეპაზედ მეუბნები, ქალ-ბატონი?

— ამ რომ სახითის წინად გამომელვისა შემინებულს რაღაც საოცარის სმაურობისაგან.

— ეგ თათბრის წერტუნი იყო, ხემო ბრძანებულო, უოკელ-დღე უკრავენ ხოლმე დიდებულთა შვილების გასაღვიძებლად, სასახლეში დზრდებან, შენ შეეჩერი ამ სმაურობას. ჩვენ ეხლა აღარც კი გვესმის ხოლმე თათბრის რეპა, პირ-იქით ჩვენ მაშინ გვეღვიძება, როდესაც მას აღარ არავუნებენ უქმე დღეობით. დიღით შეგიძლიან უკურო, როგორ მიჰყავთ ხოლმე ბავშვები საბანაოდ. დარიბთა შვილები როგორც კი შვიდის წლისა სრულდებან, მაშინვე მიჰყავთ სასახლში და აქ ზრდიან.

— ნუ თუ იგინი სიუმაწვილითვე ეჩვევიან სასახლის ფუფუნებას?

— არა, ბავშვები ძალიან ტანკვაში არიან! მათ სმელს მაწაზედ უნდა დაიძინონ და მზის ამოსვლის უმაღვე ადგნენ. სმელს პურია და წეალი ამლექნ და სანდისხან მცირეოდენს ხორცის. ხშირად ამძექნსამე დღეს შემშილითა და წეურვილით ატარებენ; ამბობობენ ამას იმიტომ შერებიან, რომ მოთმინება ისწავლონ.

— მერე ეგრე სასტივად აღზრდილი ბავშვები შემდეგ ასეთ სიტემების მოყვარე ვაუ-გაცემად გადაიგრევიან ხოლმე?

— ეგ. ხომ უოკელთვის აგრე არის. რადგანაც დიდ ხას

თომენ შემშედს, იმდენი უფრო გემირელად გეჩვენება საჭიროა! თუმცა დიდებულთა ბაკშები სიყმაწვილეში ბევრს ნებულებას ითმენენ, მაგრამ ამასთანავე ისც იციან, რომ მდიდრები არიან. რა გასაკერძება; რომ იგინი, როდესაც თავის უფლებიან, ერთი ათად უფრო მღიერ სიტკებებას და ფუფუქებას მიუცემას ხოლმე? როდესაც მათ მშენ, ან ნადირობაზედ წასკდა უხდებათ, მაშინ აღარ დარღობენ, თუ რომ სიმშიდლ-წუჟორილით შეწუხდებან; მაშინ იგინი ტალახშიაც სიამოკებით სტოპენ ხოლმე, თუმცა მშენებერი ტანისამოსი აცეთთ და სმელს ქვაზედაც ისევე ტკბილად დაიძინებენ ხოლმე, როგორც რბილს ჰუგინზედ. უნდა ნახო რა ნაირ ხემრობენ ხოლმე ბაკშები თამაშობას დორს, როდესაც იციან, რომ მეოვე უუჟრებს მათ. კამბიზი წაგიდებს როდისმე მათს საცემლად, თუ სთხოვ.

— ეგვიპტეშიაც აგრე იციან. როგორ სქესის ბაკშებს ერთად ათამაშებენ ხოლმე. ჩემი ტანიც მოქნილა სირბილისა და თამაში შებისაგან.

— საკუროველა! ჩენ ქალები აქ ისე კიზდებით, როგორც გვინდა და დართვისა და ქსოვის მეტს არაივეს კსწავლობოს მართალია, რომ ეგვიპტელმა ქალებმა წერა-კითხვა იციან?

— თითქმის უკელას ასწავლიან.

— გეფიცებით მირტეს, რომ თქვენ ჭკვიანი ხალხი უნდა იყოთ! ჩენში მაგებისა და გადამწერების მეტი არა ვინა სწავლობს წერა-კითხვას. დიდებულთა შვილებს იმის მეტს არას ასწავლიან, რომ მართლი ილაპარაკონ, დამჯერონი და მამაც* ნი იუნენ, ღმერთებს პატივს სცემდენ, ნადირობა, ცხენზედ კლობა და ხეების დარგება იცოდენ. ვისაც წერა კითხვის სწავლა უნდა, მან დარიასავით ბრალოს ბალებს უნდა მიმართოს.

ქალებს კი აერძალულიცა აქვთ წერა-კითხვის სწავლა — ად ეს-
და შენ მზადა სარ. ეს მარგალიტის ძეწევი; რომელიც დღეს
დიღით მეფემ გამოვიგზავნა, ძალას მოვისდა შავს თმებზედ.
ხება მისობრეთ ფეხზე აგაუქნოთ. ეს ბაშმაკები შენთვის დიღები
არიან. აბა ეს ბაშმაკები გაისინჯე! შენ სიტურიის ლმერთისა-
ვით ბრწყინვავ, მაგრამ გატუობა კა, რომ ჯერ ას შესხვევისარ
განიერს აბრეშუმის შარვალს და წევერტიან ბაშმაკებს. ერთხელ
როვენ რომ გაარო, მერე ისე მიუწევი, როგორც ნამდვილი
სპარსელი ქალი.

ამ დროს კარგი გარდონ და საჭურისი ბოგესი შემოვიდა,
რომ ნიტეტისი წაეყვანა უსინათლო კასანდასთან, სადაც კამ-
ბიზიც ეჭოდა.

ბოგესა მონის შესედულობა ჭრნდა და პირმოთხოვით
შეასხა ქანა ნიტეტის, რომელსაც შეესა, ვარსკვლავებსა, ბედ-
ნიურების წეაროს და კარდების ბაზს ადარებდა. ნიტეტისმა-
გრი ერთი სიტუაცის ღირსიც არ გასადა და მკრთლულებულ გულით
შეგიდა მეფის დედის ოთასში.

ამ ოთასის ფანჯრებს ინდოეთური მწვანე ფარისის ფარ-
დები ეფარც, რისაგამოც მზის შუქი ძალას აფარა სკრი-
და თვალების უსინათლო დედოფალს. იატაგზედ მშვენიერი
ბაზილონური საფინა ეშალა, რომლის საოშაც გაცს ფეხები-
უფარდებოდა. კედლები დასატული იყო სპროფის და კუს ძვლების,
კერცსლის და ქრიკის მოზაიკით. თქოროს მებეღი გადაფარებუ-
ლი იყო ლომბაკ ტეატრი, სტადიო სტადიო, რომელიც გასან-
დანას ასლობა იდგა, სრულიად გერცსლისა იყო. თვით გასან-
დანას მცრედის ფერი მატერიას ტანისამოსი ეცვა და მკირ-
ევას სელზედ იკვდა. მისი ჭარარა თმები და ფარული იყო ძვირ-
ფასის პრი-ბაზით, რომლის გრძელი უკრები უკლიან ჭრნდა.

შეკრული. გასანდანის მშენებელს სასეზედ გულ-კეთილობა და ქაცო-მოუგარება იხატებოდა.

მოხუცებულს უსინათლო თვალები დახუჭული ჟონდა, მაღალი და მოუგანილის ტანისა იყო და ლირის გულ ჩვილის კირისა.

შატრანა სკამზედ მოხუცებულის ფეხითით მისი უფროსი ქალი ატოსა იჯდა და ოქონის სართავით ძაფის ართავდა. უსინათლოს პირდაპირ კამბიზი იდგა, ხოლო თთასის უბანა გადასკენ ეგვიპტელი თვალის ექიმი ნებისმარი.

როდესაც ნიტეტისი ამ ოთახში შეიღდა, მეზე წინ მიეგება და დედასთან მიიუვანა. ამაზისის ქალმა დაიხოქა შატრივ-ცემული მოხუცის წინაშე და წმინდის გულით აკაცა სელზედ.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, დაიძასა უსინათლობ და ქალს თავზედ სელი დაადო. — მე შენზედ ბეჭრი კარგი ამბები გამიგია და იმედი მაქსი, რომ კელავაც კარგი იქნება.

ნიტეტისმა კვალად აკაცა დედოფლს სელზედ და ნაზად უთხრა:

— რა მადლობელი გახლავართ მაგ სიტყვებისთვის! ნება მიძღვეთ თქვენ, კირის მეუღლეს, დედა დაგიძახოთ. ჩემი ენა, მინეული ამ ტებილი სახელის წარმოთქმას, სისარულისაგან თრთის, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ კვალად ეძღვევა შემთხვევა წარმოსთქმას: დღედა ჩემოთ უოკელს ღონისძიებას კი სმარებ, რომ შენი ღისკეული ქალი გაცდე, მაგრამ მეც იმედი მაქსი, რომ შემისრულებთ მას, რასაც თქვენი სასიამოვნო სასე მპირდება. დამეხმარეთ თქვენის დარიგებით და რჩევით ამ ჩემთვის უცხო ქამანაში, ნება მიძღვეთ აქ თქვენს ფერსთ წინაშე კპოვო საკანე, როდესაც მე მკმუნვარება შემიპურობს და გულს აფარ შეუძლება მწუხარებისა და სისარულისა, ატანა. იყავ

ჩემთვის ის, რაც ამ ორს სიტუაცია გამოხატული: ჩემთ დედაგ!

უსინათლობ იგრძნო, ორმ ძღვულარე ცრემლები დაედინა წელზედ. მან ნაზად დაუკოცნა შეიძლი მტრიალს ქალს და უთხრა:

— მე თანაგიგრძნობ შენ! ორგორც ჩემი გული, ისე ჩემი სახლის კარები უკველთვის და იქნება შენთვის და, ორგორც მე წრფელის გულით «შვილს» გეძახი, ისე შენგ წრფელის გულით დედა დამიძახე. რამდენიმე თვის შემდეგ იქნება ღმერთებმა წყალობა მოიღონ და მომანიჭონ საუნჯე, ორმეტიც შენ დედას დაგავიწეულის, რადგანაც თვითონ შენ გაიგებ მაშინ დედობრიულს გრძნობას.

— არამაზადამ მოიღოს მაზედ თავის მოწყალება! დაიძახა გამბიზდა.— მე ძალიან მოსარული ვარ, დედა ჩემთ, ორმ შენც ჩემსავით მოგეწონა ჩემი მომავალი ცოლი; მე ვაცი რომ მას ჩვენი მსარე მოეწონება, ორგორც კი გაიგებს სპასულს უფლებათ და ჩვეულებათ. თუ რომ იგი მალე მიხვდა ჩვენს ზნე-ჩვეულებას, ქორწილი ათხი თვის შემდეგ მოხდება.

— მერე კანონი... უნდა ეთქეა კასანდანის.

— მე ვბრძანებ ათხი თვის შემდეგ მოხდებ! დაიძახა მეფეებ: — და აქედან დაიწეო ცქერა — ვინ არის, ორმ მე მეწინა-აღმდეგოსო. ესლა მშვიდობით! დედოფლის თვალებს კარგად უგდე უკი, ნებენსარი და, თუ ჩემი ცოლი ნებას მოგცემს, შეგიძლიან ხეალ ნახო იგი, ორგორც შენი ქვეუნის ქალი. კარგად იყავით; ბარტია მოკითხვეს ითვლევინება; იგი თაბურებ-თან მიდის საომრად.

ატოსამ ჩემად მოღწმინდა ცრემლები, კასანდანამ კაუთხრა:

— შენ შეგეძლო იგი ჩვენთან რამდენსამე თვეს დაგეტოვა.

შენს სარდალს მეღაბიზეს უიმისოდაც შეეძლო პატია ხალხის
თავურების დასჯა.

— ეგ რასაკირვედია, მიუგო მეფემ: — მაგრამ ბარტია
თვითონ უნდოდა თავი გამოქანა ბრძოლის გელზედ და ამი-
სათვის გავგზავნე.

— განა იგი სამოვნებით არ დარჩებოდა შინ მასაგეთებთან
ომის დაწყობამდის, სადაც უფრო დიდს სახლს იმოვიდა?
ჰკითხა უსინათლობმ.

— მერე მას რომ გულში თავურების ისარი მოხვდეს,
სოჭვა ატრასამ: — მაშინ შენ იქნები დამნაშაულ
მას აღესრულებინა თავის უწმინდესი მოვალეობა — ამოუკარ
ჯვრი ჩვენის მამის მოუკლისათვის!

— განუმდი, დაუკირა კაბბიზბა დას: სინამ არ მიჩნებია
შეხთვის, თუ როგორ უნდა იქცეოდენ ქადები და ბაგშები.
ბედისაგან გალადგეული ბარტია უკნებლად დარჩება და საქმით
დაიმსახურებს იმ სიცარულის, რომელსაც საფარი ესდა უმიზე-
ზოდ უცხადებს.

მაგას როგორ ამხობ შენს მმარედ? განა იგი მემკული არ
არის გაუკაცურის ღირსებით? განა იგი დანაშაულია, რომ მა-
საც შენსავით შემთხვევა არა ჰქონდა ომში თავი გამოქანა?
ჰკითხა გასანდანამ. — შენ მეტე სარ და ნატრისა გაცემ შენს
ბრძანებას; მაგრამ რეგორც შვილს კი გემდგრები, რომ არ
ვიცი რისთვის მამაკელ ჩემის სიცოცხლის უდიდეს სისარულის
— ბარტიას, ბარტია შეიძლებოდა ჩვენთან დარჩენილიც მასა-
ბეტებთან ომამდის; მაგრამ, შენის კიუტობით, სხვანარად
მოაგვარე საქმე...

— რასაც მე მოვიფირებ, უოცლისფერი გარგია! გაწევეტია

ნა კამბიზმა, ოომელისაც ღოუები გაუკეთდენ. მე არას დროს აფარა მსურს მაგ საგანზედ დაპარაკა.

ამის შემდეგ კამბიზი სახელოდ გავიდა, ოთახიდამ და თან გაჭევა ამალა, ოომელიც არას დროს არა შორდებოდა, იგი გავიდა დაინაზში.

კრთმა საათმა მეტმა გაიარა მას შემდევ, რაც კამბიზმა დასტოავა დედის ოთახი და ნიტეტისი კი მაინც უსინათლოს ფეხთით ჯვდა მშენიერ ატასასთან ერთდ.

სპარსელი ქალები უურს უგდებდენ ნიტეტისის ლაპარაკა და ეგვიპტის ამძებსა ჭირითხავდენ.

— რა სიამოწენებით მინდა შეს სამშობლოში უოფნა! უოჩრა ატოსამ.—თქვენი ეპვაპტე სოულიად სსეანაირი უნდა იყოს, სინამ სპარსეთი. კარგი სინასაკნა იქნებიან საუთფერი ნაშირები დიდის მდინარისა, ოომელიც ჩვენს უფრატზედ უდიდესა, ღმერთების ტაძრები მრავალის გუმბათით და განკებ გაეყოებული მთები, ოომელთაც პარამიდები ჰქონან და სადაც უძველესი დროის მეფენა არიან დამასტეულია. მაგრამ უკედაზედ კარგი თქვენი მეჯლიში იქნება, სადაც ქალები და კაცები კრთმანეთს არ ერიდებან. ჩვენ კი, სპარსთა ცოლები, თუმცა ასაკს წელიწადს და მეფის დაბადების დღეს კაცებთან ერთად ვლინსოთ, მაგრამ სასტრიცად აკრძალული გრძელს დაპარაკა და უზიდელობად ჩისოვდნან, თუ რომ თუვებს თვალს მოვაშორებთ. თქვენში კი სულ სსეანაირად არის! ვეფაცები მიოტას, რომ მე გულით მინდა ეგვიპტელი ქალი ვიყო, ოდგანაც ჩვენ აე მსოფლოდ მონება ვართ; ვკრძნობ კი, რომ მე დიდი კირის ქალი ვარ და არც ერთს კაცზედ ნაკლები არა ვარ. განა მე არ შემიძლიან ბრძანება და მისი ადსრულება, განა მე დიდებაზედ არა ვივიქ-რობ, განა მე ცხენზედ ჭდობას, ისრას სროლას, ხმლის მო-

ქნებას და ცურვას გერ ვისწაკლიდი, თუ კი ემაწვილობითებე მასწაკლიდებ?

ქალი ზეზე წამოხტა, თვალები უბრწყინავდენ და დაიწურ თათიარობას ქნება.

— გახსოვდეს, ოომ ეგრე შეცვა ქალს არ შეშენის, უთხოა კასანდრას. ქალი თავის ბედს უნდა დაემორჩილოს და კაცებს არ უნდა შეაძავდეს.

— მე ვიტა ქალები, ოომეჯნიც კაცებისაკით ცხოვოობენ. ამდენსამე ადგილას ცხოვოობენ ამაზონები, ოომელოაზ ბეჭრი არ ამძირა გადაიხადეს და დღვეანდღამდის შეიარაღებული დადიან.

— ვინ გაგაბებინა ეგა?

— ჩემის გამდელის სტეფანიონისაგან, ოომელოც მამა ჩემმა სახოზიდამ ტეკედ მოიკვანა.

— მე სოულიად სხვა რასმეს გეტუვი, უთხოა ნიტეტისმა. ტემისციონში და კომანში ბერენი რიან ქალები, ოომელოაც სამხედრო ცანისამოსი აცვათ; მაგრამ უკეთა ეს ქალები ქურუმები არიან, ოომელოაც ჩეკულებათ პეს ჩაიცვან ამის ღმერთასაკით, ოომელისაც თვითონ უმსახურებიან; ივინი ისე იმი-ტომ იქნებინ, ოომ მღოცეულთა წინაშე ღვთაების გამსიროცია ელებელი იყნენ; კრეზი ამხობს, ოომ ამაზონების ჯარი თხავის დღეში არა უოუილათ, მაგრამ ბერმნებმა, ოომელიც გამ-ლაიურს ზღაპრად აკეტებენ, რამდენიმე შეიარაღებული ქალი მეომარ ქალების მთელს ხაციად გადაქციეს.

— მაშ ბერმნები ცოუნი უოფილან? შეჭერა გაცრუებულმა ქალმა.

— რასაკვირველია, მიუგო ნიტეტისმა, ელინელოთათვის ჭეშ-მარიტება ისე ძვირედ არა ლის, ოგოროც თქვენთვის; ამის-

ზღაპრების შეოსზებას და მღერის მცმენელთ წინაშე მშეგნიერს. ლექსებად ბერძნები სიცოდეს კი არა, ლექსთა თხზვას ეძახიან.

— ისე, ოთვორცუ ჩვენში, უთხრა კასანდასამ. თუმც მგოსთ, ალმედიც ჩემი ქმრის დიდების მღერიან, საშინლად გადასცეალეს და ერთი როად გააზვიადეს კორის ყმაწევილობის ხარისხია, მაგრამ მათ ამისთვის მაინც ცრუს არ ეძახიან. ამა ერთი მთხვარ, ჩემი შვილი, ნუ თუ მართლა ელინები სხვა ხალხებზედ დამაზები არიან და უკედა ნარი სელოვნებაზე უფრო გარგად იციან, თუ გინდ მაგ. ეგვიპტელებზედ?

— მაგაზედ სკა მე არ შემიძლიან. ჩვენი სელოვნების ნაწარმოები ბევრით განირჩევან, ელინობ სელოვნების ნაწარმოებისაგან: როდესაც ჩვენს უდიდეს ტამრებში სალოცავად შევდიოდი, უოკელთვის იმაზედ ვფიქრობდი, რომ თეთხთა მტკრად უნდა გაემსდარვიუა ღმერთთა დიდების წინაშე და მეთხოვნა მათთვის მე, მატრა ჭიანჭელა, არ გავნადგურებინეთ; მარამ სამოსის გერის ტამარში კი მე აღვაშეარ ზურდისადმი სელები და აღტაცებით კადალობდა ღმერთებს, რომ ქვეყანა ასე ტუროა გაუწენიათ. ეგვიპტეში უოკელთვის ვფიქრობდი, როგორც მასწავლიდნენ, რომ ასიცოცხლე სიზმარია და ნამდვილდ სიცოცხლისათვის ჩვენ გავიძლებებთ სიველის უამს ღზირისას სამუშაფოშია; საბერძნეთში კი აძის ვფიქრობდი: «მე სიცოცხლისათვის ამ ქვეწის ნერაცებით გასაძლომად ვარ დაბადებული; რომელიც ჩემს წინაშე ასე საოცრად ჰყეავის და ბრწყინვას.»

— გვიამბე, ბეკრი გვიამბე საბურძნეთის ამბავი, შეჭერა ატახამ, მაგრამ და ჯერ ნებენსარი დედას თვალები შეუსკორას.

თვალის ეჭიმი, მაღალის ტანის გაცი, ეგვიპტის ქურუმების თეთრის ტანისამოსით. მორთული, თავის საქმეს, შეუდგა; როდესაც საქმეს მორჩა, ისევ თავის ადგილას წავიდა; წასკლის

დოსტეს ნიტეტისი მას მეგობრულად მიესალმა. ოთახში საჭირო ისა შემოვიდა და იყითხა, შეუძლიან კრუზს მეფის დედასთან შესვლა თუ არა.

მალე კრუზიც მოვიდა და ისე მაიღეს, ორგორც სასლის ნამდვილი მეგობრი ცელქმა ატოსა მას უკლიერ ჩამოჟადა, დედოფალმა ხელი ჩამოართვა და ნიტეტისი ისე მიესალმა, ორგორც საუკარელს მამდს.

— მადლობას კწირავ დამერთებს, ორმ კვალად მადლორსებრ თქვენი ნახვა, სოჭა მოსუცმა. ჩემს ხანში ყოველს წელიწადს ისე უნდა უყურებდეს კაცი, ორგორც დაკისაგან მინიჭიბულს წყალობას, მაშინ როდესაც სიყმაწვილე სიცოცხლეს კანონიერად სოვლის.

— აა ნარჩდა მშერს ეგრეთი თქვენი აზრი ქვეუნის შესასხვა, ამოსახვით უთხრა გასანდანამ. მე შენზედ პატარა გარ, მაგრამ ეოველი დღის სინათლეს, რომელსაც ღმერთები ნების არ მარჯევენ დავინახო, ასაღს ტანჯვათა კსოვლი,

— ნუ თუ მაგას ამბობს დიდი კორის მეუღლე? ჰქოთხა კრებება. აა დოსტეს აქეთ დაჭირება იმედი და ოწმუნება კასანდანას გულმა? გაუბინებდ რომ თვალები კვალად აგებდება და ჩემსავით მადლობას შესწირავ ღმერთებს ბეჭნერად ღრმად დაბერებისათვის. ვინც ნამდვილად აკად უოფილა, იგი ათასჯერ უფრთ მეტად დაფასებს იმ ბეჭნერებას, რომელსაც კარგად მუღოვანა აძლევს. ვინც უსინათლო უოფილა და კვალად სინათლე მოსცემია, იგი, ჩემის აწმოთ, ღმერთებს საუკარელი კაცებს დასს კუთვნის. წარმოადგინე შენი აღტაცება, როდესაც რამდენიმე წლის უსინათლობის შემდეგ, კვალად იხილავ მზის სინათლეს, შენი გულის საუკარელი და მთლად ქვეუნის სიმშენერეს. კასორვდეს, ორმ ის წამი გამოისუიდის შენგან უსრ

